

საგანგებოს შტაბის წევრების მოვალეობები:

საგანგებო შტაბის უფროსი - ალექსანდრე ჯავახიშვილი - დირექტორი.

- საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების, ასევე საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს;
- თანამშრომლებისა და პერსონალისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება;
- მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება;
- რეაგირების ფორმირებების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება;
- ფორმირებების ინდივიდუალური დაცვისათვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა;
- თანამშრომლებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;
- საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება;
- საჰაერო (სარაკეტო) თავდასხმის შემთხვევაში თანამშრომლებისა და პერსონალის შეფარების ორგანიზება დამცავ ნაგებობებში;
- საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება.
- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება კორექტირება / დახვეწა. (წელიწადში ერთხელ)
- შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა (ყოველ 6 თვეში ერთხელ);
- საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა (6 თვეში ერთხელ);
- ინციდენტის კერიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
- შესაბამის სამსახურთან ერთად, შენობის სარგებლობის ვარგისიანობის დადგენა;

- გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, ხანძრით გამოწვეული ნარჩენების უსაფრთხო გამოტანა;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება;
- დაზიანებული კომუნიკაციების ელექტრო-ენერჯის, წყლის მაგისტრალების აღდგენა/შემოწმება;
- აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება

საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში ირაკლი ფიოლია - მენეჯერი ტექნიკური ზედამხედველობის დარგში

- მეთვალყურეობა გაუწიოს საევაკუაციო გეგმის შემუშავებაში;
- მეთვალყურეობა გაუწიოს შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები განსაზღვრას, იზრუნოს მათზე მანიშნებელი ნიშნების დაყენებაზე;
- იცოდეს მოსწავლეების და თანამშრომელთა რაოდენობა მათი ოპერატიულად ევაკუაციის მიზნით;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის რეაგირების გეგმის შემუშავებაში, ევაკუაციის საკითხების დაზუსტებაში;
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და წინასწარ ჰქონდეს მომზადებული მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის საჭირო მონაცემები;

ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში იგი ვალდებულია:

- სპეციალური სიგნალით, დროულად შეატყობინოს სკოლის პერსონალს ევაკუაციის დაწყება;
- ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით მოსწავლეთა და თანამშრომელთა შეკრებას შეკრების ადგილას;

- საევაკუაციო გეგმის მიხედვით პერსონალისა და მოსწავლეთა ევაკუაცია უსაფრთხოდ; ადგილამდესახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის;
- განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;

საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - ალექსანდრე ჯავახიშვილი - აღმასრულებელი დირექტორი

- აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეაგირების გეგმის შემუშავებაში;
- ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირის და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას;
- დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების და სკოლის თანამშრომლების საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიების განხორციელების თაობაზე.
- სკოლაში საგანგებო სიტუაციის განვითარების შემთხვევაში შეატყობინოს, სკოლის პერსონალს და ხელმძღვანელობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.
- ევაკუირებული პერსონალისა და მოსწავლეების აღრიცხვა;

სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი -ნოდარ კირვალიძე - სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მენეჯერი

ორგანიზებას უკეთებს რეაგირების ძალების საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენით სამუშაოებში ჩართვას;

იგი მშვიდობიან პირობებში ვალდებულია;

- იცოდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი. ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის;
- შეისწავლოს ობიექტზე განლაგებული ყველა შენობა-ნაგებობა და ენერგომომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგებისა და საკომუნიკაციო ქსელები;
- სისტემატიურად ამოწმებდეს ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარითა და ცეცხლმაქრებით. იცოდეს ცეცხლმაქრების ვარგისიანობა, მათი შევსების დრო;
- სისტემატიურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; უნდა ამოწმებდეს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას;
- სისტემატიურად უნდა ატარებდეს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას პირად შემადგენლობასთან.
- სისტემატიურად უნდა ამოწმებდეს, როგორც პირად ასევე ჯგუფის პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას;
- იცოდეს ჯგუფის ქონების ადგილსამყოფელი, მიღებისა და გაცემის გრაფიკი;
- აქტიურად მონაწილეობდეს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში;
- იცოდეს ობიექტზე სუსტი ადგილები, ავარიის შემთხვევაში მისი სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით.

ექსტრემალური ვითარების განვითარებისას იგი:

- მოვალეა სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა. მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, დაუსახოს თითოეულს ამოცანები და მიიღოს საჭირო აღჭურვილობა;
- სწრაფად და ენერგიულად იმოქმედოს დაზიანების კერაში დაზარალებულთა გასაყვანად და დახმარების აღმოსაჩენად. აწარმოოს ავარიის შედეგების ლიკვიდაცია;
- სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- სასწრაფოდ შეატყობინოს ტერიტორიულ სახანძრო-სამაშველო დანაყოფს;
- განსაზღვროს ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზაცია;
- ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა.

ხანძრის შემთხვევაში:

- შეაფასოს სახანძრო ვითარება;
- განსაზღვროს ხანძარსაშიში ადგილები, ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ძალები და ტექნიკა, ასევე საჭირო წყლის მოწოდების საშუალებების სახეები და მათი რაოდენობა;
- განისაზღვროს უსაფრთხო ევაკუაციის მარშრუტი.

აგრეთვე:

- განსაზღვროს ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზაცია;
- ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა.

- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლმაქრების) და სისტემების (საგანგაშო მაუწყებლობის, სისტემის) გადამოწმება (წელიწადში ერთხელ)
- შტაბის წევრებისათვის სათანადო (ევაკუაციის პროცედურები, ხანძართან ბრძოლის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვ.) ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება (6 თვეში ერთხელ)
- სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება (წელიწადში ერთხელ)
- შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება (6 თვეში ერთხელ)
- მოსწავლეების და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლებისთვის სწავლებების/ინსტრუქტაჟის ჩატარება (6 თვეში ერთხელ)
- სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება (6 თვეში ერთხელ)
- სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, **ნომერზე: 112**
- სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ
- საჭიროების შემთხვევაში სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის
- საევაკუაციო გეგმის მიხედვით პერსონალისა და მოსწავლეების ევაკუაცია ზედა სართულებზე (ძლიერი ქარის დროს)

მატერიალურ – ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი -ბეჟან წიკლაური- სამეურნეო საქმიანობის მენეჯერი

ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:

- მიიღოს აქტიური მონაწილეობა საგანგებო მართვის გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით;
- მონაწილეობა მიიღოს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში;
- მოამზადოს ანგარიში რეაგირების ფორმირების აღჭურვის მიზნით;
- იცოდეს საჭირო აღჭურვილობისა და ინვენტარის რაოდენობა, მისი შექმნისა და შენახვის პირობები;
- იცოდეს ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მათი ტექნიკური აღჭურვილობა და საწვავ-საცხები მასალის შენახვის პირობები. აწარმოოს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა;

სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას საგანგებო შტაბის უფროსს ავტოტრანსპორტის და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ.

აგრეთვე იგი ვალდებულია:

- ელექტრო სისტემის გადამოწმება (წელიწადში ერთხელ)
- შენობაში/ეზოში მოხდეს ინვენტარის განთავსების შესაძლებლობა ხეების მოქცევის/ ფასადისა და სახურავის ნამსხვრევების შედეგად მათი დაზიანების თავიდან აცილების გამო (წელიწადში ერთხელ)
- შენობის/ეზოს შემოწმება; (6 თვეში ერთხელ)
- შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა; (6 თვეში ერთხელ)

- დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია; (ყოველ 6 თვეში ერთხელ)
- შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა;
- საოფისე მაგიდების 1.5 მეტრის დაშორებით ფანჯრებისგან განლაგების გადამოწმება (კვარტალში ერთხელ)
- შენობა-ნაგებობის სახურავის/ ეზოში ხეებისა და სხვა ნარგავების რევიზია უსაფრთხოების კუთხით (პერიოდულად)
- შენობა ნაგებობებზე აბრების და ბანერების სიმყარის გადამოწმება; (პერიოდულად, მაგ. 6 თვეში ერთხელ)
- გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, ხანძრით გამოწვეული ნარჩენების უსაფრთხო გამოტანა
- დაზიანებული კომუნიკაციების ელექტრო-ენერჯის, წყლის მაგისტრალების აღდგენა/შემოწმება.
- აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება (ხანძრის, ძლიერი ქარის და მიწისძვრის დროს)
- ძლიერი ქარით გამოწვეული გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება;
- გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, მიწისძვრით გამოწვეული ნანგრევების უსაფრთხო გამოტანა

სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი -თინა გოგოლაშვილი -
ექიმი

ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:

მშვიდობიან პირობებში:

- მონაწილეობდეს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში;
- სისტემატიურად უწევდეს კონტროლს ობიექტის ტერიტორიაზე სისუფთავისა და პერსონალის მიერ ჰიგიენის დაცვას;
- აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზიანებულ ადამიანებს;
- მუდმივად ზრუნავდეს პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების საჭირო მარაგის შექმნაზე.

ექსტრემალურ ვითარებაში იგი:

ორგანიზებას უკეთებს დაშავებულების პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას;

აგრეთვე იგი ვალდებულია:

- დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება (წელიწადში ერთხელ)
- შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა
- შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა (ყოველ 6 თვეში ერთხელ)
- შტაბის წევრებისათვის სათანადო (ევაკუაციის პროცედურები, ხანძართან ბრძოლის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვ.) ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება (6 თვეში ერთხელ)
- შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება

- შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება
- შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან (ხანძრის დროს, ძიერი ქარი, მიწისძვრა)
- შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება (ხანძრის დროს, ძლიერი ქარი)

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი-ნათია თედიაშვილი- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:

- საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფის ოპერატიული შეკრება;
- იცავს წესრიგს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში;

უზრუნველყოფს საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზებას და წესრიგის დაცვას მისი განხორციელების პროცესში;

- მონაწილეობს პრევენციული, მზადყოფნის და რეაგირების ღონისძიებების განხორციელებაში საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით.

აგრეთვე:

- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლმაქრების) და სისტემების (საგანგებო მაუწყებლობის, სისტემის) გადამოწმება (წელიწადში ერთხელ)
- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება კორექტირება / დახვეწა (წელიწადში ერთხელ)
- შენობების კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება- შემოწმება (წელიწადში ერთხელ)
- საოფისე მაგიდების 1.5 მეტრის დაშორებით ფანჯრებისგან განლაგების გადამოწმება (კვარტალში ერთხელ)